

შპს ვერიტას ბრაუნ

ფინანსური ანგარიშგებები და განმარტებები

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3-4
სრული შემოსავლის ანგარიშგება	5-6
ფულადი სახსრების ანგარიშგება.....	6
ფინანსური ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები	7-14

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

		31-დეკ-2023	31-დეკ-2022	01-იან-2022
აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	5	418,912	361,763	548,188
სავაჭრო მოთხოვნები	6	11,335	45,597	254,133
გადახდილი ავანსები		65,017	66,692	189,701
მარაგები		-	-	-
მზა პროდუქცია		-	-	-
სხვა		-	-	-
საინვესტიციო ქონება		-	-	-
სხვა მიმდინარე აქტივები		-	-	-
გაცემული სესხები		54,935	123,255	-
საგადასახადო აქტივი		-	2,413	-
სხვა არამატერიალური აქტივები		-	-	-
ძირითადი საშუალებები		65,267	54,769	128,127
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში		-	-	-
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში		-	-	-
სხვა გრძელვადიანი აქტივები		90	501,027	-
სულ აქტივები	Σ	615,557	1,155,515	1,120,149
ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულებები		(0)	(0)	17,972
სავაჭრო ვალდებულებები	7	127,290	67,071	37,611
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		19	438	123
საგადასახადო ვალდებულებები		97,698	-	14,558
გამოუმუშავებელი შემოსავალი		-	-	-
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები		-	-	-
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	9	-	-	-
მიღებული გრანტები		-	-	-
სხვა ვალდებულებები		318,639	139,995	153,208
სულ ვალდებულებები	Σ	543,647	207,504	223,471
საკუთარი კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი (მშს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიოკაპიტალი')		-	-	-
საემისიო შემოსავალი		-	-	-
გამოსყიდული საკუთარი აქციები		-	-	-
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	Σ	71,910	948,011	896,678
გადაფასების რეზერვი		-	-	-
სხვა რეზერვები		-	-	-
სულ საკუთარი კაპიტალი	Σ	71,910	948,011	896,678

სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები

615,557

1,155,515

1,120,149

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

			2023 წელი	2022 წელი
ნეტო ამონაგები	3	Σ	2,663,936	2,598,906
საქონლის გაყიდვიდან			-	-
მომსახურების გაწვიდან			2,663,936	2,598,906
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			-	-
სხვა			-	-
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება			(89,143)	(37,996)
საერთო მოგება		Σ	2,574,794	2,560,910
სხვა შემოსავალი			(1,904)	(93,445)
დასაქმებულთა ანაზღაურება (-)			(1,425,562)	(1,431,650)
ცვეთა და ამორტიზაცია (-)			(16,674)	(37,514)
საპროცენტო შემოსავალი			7,391	2,682
საპროცენტო ხარჯი (-)			-	-
იჯარის ხარჯი (-)			(105,202)	(83,828)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი (-)	4		(1,349,067)	(865,822)
სულ საოპერაციო ხარჯები		Σ	(2,891,018)	(2,509,577)
საოპერაციო მოგება		Σ	(316,224)	51,333
ფინანსური აქტივები (-)			-	-
მარაგები (-)			-	-
სხვა არაფინანსური აქტივები (-)			-	-
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის		Σ	-	-
ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან				
მოგების გადასახადი (-)		Σ	-	-
მოგება/(ზარალი)			(316,224)	51,333
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):				
ძირითადი საშუალების (მათ შორის			-	-
ბიოლოგიური აქტივის) გადაფასების რეზერვი			-	-
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და			-	-
მეკავშირესა წარმოების უძრავი ქონებისა და			-	-
ფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი			-	-
პროგრამები)			-	-
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ		Σ	-	-
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)			(316,224)	51,333
		Σ		
საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის			948,011	896,678
საწყისი ნაშთი)				
ახალი აქციების გამოშვება (მზს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა' ,			-	-
კოოპერატივი სშემთხვევაში 'საპაიოკაპიტალის გაზრდა')			-	-
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის			(559,876)	
დივიდენდი)				
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში			-	-
კაპიტალის სხვა ცვლილებები		Σ	-	-
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის			71,910	948,011

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	2023 წელი	2022 წელი
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	644,198	(222,270)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(27,173)	35,845
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(559,876)	-
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის	Σ	
ეკვივალენტებში	57,149	(186,425)
სავალუტო კურსის ეფექტი	-	-
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	Σ	
	Σ	
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	418,912	361,763

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ვერიტას ბრუნ დაარსდა 2018 წლის 11 მაისს და რეგისტრირებულია საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ი. ჭავჭავაძის გამზ., N34, IV სართული. საწარმოს ხელმძღვანელობს და საწარმოს წარმომადგენლობაზე პასუხისმგებელ პირებს წარმოადგენენ ნინო ყიფიანი და 2023 წლის 9 მარტიდან გიორგი ჯაფარიძე. კომპანიას ფლობენ მეწილეები:

	2023	2022	2021
მესაკუთრე			
ნინო ყიფიანი, 01017007433	33%	33%	20%
გიორგი ჯაფარიძე, 01024031907	33%	33%	20%
ლუარდ ნიკოლას გარარდი, 538741291	34%	34%	60%
	100%	100%	100%

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა [68310] უძრავი ქონების საბროკერო და საკონსულტაციო მომსახურების გაწევა, მათ შორის შეძენა/განკარგვა, ბაზრის კვლევა და ტექნიკურ-ეკონომიკური მიზნების შესწავლა და საინვესტიციო პარტნიორების მოძიება.

კომპანია ფინანსურ აღრიცხვას აწარმოებს მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. სამუშაო და წარდგენის ვალუტა არის ქართული ლარი.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლე და გრძელვადიანად

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლე და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე.

აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ფლობის ძირითადი მიზანია მომსახურება;
- მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი ოპერაციული ციკლის განმავლობაში;

- ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია „გრძელვადიანის“ კატეგორიას მიაკუთვნებს.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალები, რომელიც აკმაყოფილებს აღიარების პირობებს, თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. ძირითადი საშუალების თვითღირებულება არის მოცემულ აქტივში გადახდილი ანაზღაურების რეალური ღირებულება; ასევე, ყველა პირდაპირი დანახარჯი, რომელიც გაიწია აქტივის საჭირო აღგოვას და მდგომარეობაში მოსაყვანად. ამასთან, ყველა სხვა შემდგომი დანახარჯები აღიარებულია ხარჯად იმ პერიოდში, როდესაც ისინი გაიწია.

აქტივების შემდგომი შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთით შემცირებული თვითღირებულების თანხით. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

ძირითადი საშუალებების დასახელება	სასარგებლო გამოყენების ვადა
მანქანა-დანადგარები	1-5 წელი
ავეჯი	7 წელი
ოფისის აღჭურვილობა და ინვენტარი	2,5 წელი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა ან აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებასა ან ზარალში.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები, რომელიც აკმაყოფილებს აღიარების პირობებს, თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. პირველადი აღიარების შემდეგ, არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების

დაგროვილი ზარალი. არამატერიალური აქტივები ამორტიზდება 2-7 წლის სასარგებლო ეკონომიკური ცხოვრების განმავლობაში და ფასდება გაუფასურებისთვის, როდესაც არსებობს ჩვენება იმისა, რომ არამატერიალური აქტივი შეიძლება გაუფასურდეს.

იჯარა

იმის განსაზღვრა, შეთანხმება წარმოადგენს (ან შეიცავს) თუ არა იჯარას, ხდება იჯარის დასაწყისში, შეთანხმების არსიდან გამომდინარე. შეთანხმება წარმოადგენს ან მოიცავს იჯარას, თუ მისი შესრულება დამოკიდებულია გარკვეული აქტივის (ან აქტივების) გამოყენებაზე და შეთანხმება ასახავს აქტივის (ან აქტივების) გამოყენების უფლებას მაშინაც კი, თუ ეს აქტივი (ან აქტივები) მკაფიოდ არ არის მითითებული შეთანხმებაში.

კომპანია, როგორც მოიჯარე

აქტივის კლასიფიცირება ხდება იჯარის საწყისი თარიღით ფინანსურ ან საოპერაციო იჯარად.

იჯარა, რომელიც გადასცემს საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს კომპანიას, კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად.

საოპერაციო იჯარა არის ისეთი ტიპის იჯარა, რომელიც არ შეიძლება ჩაითვალოს ფინანსურ იჯარად. საოპერაციო იჯარის გადასახდელების აღიარება ხდება საოპერაციო ხარჯად სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით.

კომპანია, როგორც მუიჯარე

იჯარას, რომლის დროსაც კომპანია არ გადასცემს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელს, საოპერაციო იჯარად კლასიფიცირდება. საიჯარო ქირის

აღიარება ხდება შემოსავლის სახით იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მისი მიღება.

მარაგები

მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, თვითღირებულება გამოითვლება პირველი შემოსავალში, პირველი გასავალში (FIFO) მეთოდის გამოყენებით. 2023 წლის ბოლოს კომპანიას არ მოუხდენია მარაგების ტესტირება გაუფასურებაზე.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება სალაროში ნაღდი ფულის და ბანკში ფულის ნაშთისგან.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული საქართველოს ბანკის ეროვნული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

3. ამონაგები

ანგარიშგებაში შემოსავლები აღიარდება, რათა მომხმარებლებისთვის დაპირებული საქონლის ან მომსახურების გადაცემა იმ თანხით იყოს წარდგენილი, რომელიც ასახავს ანაზღაურებას, რაც ეკუთვნის საწარმოს ამ საქონლის ან მომსახურების მიწოდების სანაცვლოდ. იმისათვის, რომ ამონაგები აღირიცხოს დროულად და სათანადო ოდენობით, ის აღიარდება მაშინ, როდესაც მყიდველს მიეწოდება საქონელი ან მომსახურება და გადაეცემა საკუთრების უფლება.

	2023 წელი ლარი	2022 წელი ლარი
შემოსავალი რეალიზაციიდან	2,663,936	2,598,906
	2,663,936	2,598,906

შემოსავალი რეალიზაციიდან მოიცავს მომსახურების მიწოდებიდან მიღებულ ფულად სახსრებს.

4. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება, დარიცხვის მეთოდის გამოყენებით, რადგან ეს მეთოდი გამოავლენს გარიგებების და სხვა მოვლენების თუ გარემოებების გავლენას ანგარიშვალდებული საწარმოს ეკონომიკურ რესურსებსა და მოთხოვნებზე იმ პერიოდებში, როდესაც ამ გავლენებს ადგილი აქვთ, იმ შემთხვევაშიც კი, თუ შედეგობრივი ფულადი სახსრების მიღებას და გადახდებს ადგილი აქვთ განსხვავებულ პერიოდში.

	2023 წელი ლარი	2022 წელი ლარი
ადმინისტრაციული და სხვა ხარჯი	(1,349,067)	(865,822)
	(1,349,067)	(865,822)

ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები მოიცავს საკონსულტაციო/საშუამავლო ხარჯებს ძირითადად და სხვა ადმინისტრაციულ ხარჯს.

5. ფული და ფულის ეკვივალენტები

	2023 წელი ლარი	2022 წელი ლარი
ფული სალაროში	-	-
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	418,912	361,763
	418,912	361,763

6. სავაჭრო მოთხოვნები

	2023 წელი ლარი	2022 წელი ლარი
მოთხოვნები მომსახურების გაწევიდან	11,335	45,597
	11,335	45,597

სავაჭრო მოთხოვნების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ სამართლიან ღირებულებას ანგარიშგების თარიღისთვის.

მენეჯმენტის მიერ, კომპანიას არ აქვს შექმნილი სავაჭრო მოთხოვნების რეზერვი 31 დეკემბრის მდგომარეობით.

7. სავაჭრო ვალდებულებები

2023 წელი	2021 წელი
-----------	-----------

	ლარი	ლარი
ვალდებულებები მომსახურების მოწოდებიდან	127,290	67,071
	127,290	67,071

სავაჭრო ვალდებულებები მოიცავს ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიქმნა ხარჯის გაწევის შედეგად, რომლის გადახდა არ მომხდარა პერიოდის განმავლობაში.

კრედიტორული დავალიანების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ სამართლიან ღირებულებას ანგარიშგების თარიღისთვის.

ანარიცხები

პირობითი აქტივები მხოლოდ განიმარტება ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში, როცა სავარაუდოა ეკონომიკური სარგებელის შემცველი რესურსების შემოღინება და არ ხდება მათი აღიარება ფინანსურ ანგარიშგებაში.

ასევე, არ აღიარდება პირობითი ვალდებულებები, არამედ აისახება განმარტებით შენიშვნებში.

9. მიღებული სესხები და გარანტიები

სასესხო და საგარანტიო ვალდებულებები, რომელთა ანგარიშსწორება მოხდება საწარმოს ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის დროს, კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი სესხები და გარანტიები. მაშინ, როდესაც სესხი ან გარანტია ფარავს ამაზე მეტ პერიოდს, ანარიცხი იყოფა მის მოკლევადიან და გრძელვადიან ელემენტებად.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი გაწეულ იქნა. ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები მოიცავს საპროცენტო ხარჯებს, რომლებიც გადახდისთანავე აღიარდება საპროცენტო ხარჯად სრული

შემოსავლის ანგარიშგებაში; და უცხოურ ვალუტაში აღებულ სესხებთან დაკავშირებით წარმოშობილ საკურსო სხვაობის თანხებს.

გრძელვადიანი სესხების დაფარვის ვადაა 2023 წლის 31 დეკემბერი, საპროცენტო განაკვეთი შეადგენს წლიურ 0 %. გრძელვადიანი საბანკო სესხი არ არის უზრუნველყოფილი საწარმოს ძირითადი საშუალებებით.

	2023 წელი ლარი	2022 წელი ლარი
გრძელვადიანი სესხები	-	-
	-	-

სავალუტო კურსის ცვლილებით გამოწვეული მოგება/(ზარალი)

2023 წელს ფულადი მუხლების გადაფასებით მიღებულმა ნეტო მოგებამ/(ზარალი) შეადგინა (1,904) ლარი, საიდანაც ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების გადაფასების შედეგად მიღებულ იქნა (1,623) ლარის მოგება/(ზარალი), მოთხოვნების გადაფასების შედეგად (602) ლარის მოგება/(ზარალი), კრედიტორული დავალიანების გადაფასების შედეგად 321 ლარის მოგება/(ზარალი), ხოლო სესხების გადაფასების შედეგად 0 ლარის ზარალი.

2022 წელს ფულადი მუხლების გადაფასებით მიღებულმა ნეტო მოგებამ/(ზარალი) შეადგინა (77,688) ლარი, საიდანაც ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების გადაფასების შედეგად მიღებულ იქნა (74,321) ლარის მოგება/(ზარალი), მოთხოვნების გადაფასების შედეგად (5,038) ლარის მოგება/(ზარალი), კრედიტორული დავალიანების გადაფასების შედეგად 1,671 ლარის მოგება/(ზარალი), ხოლო სესხების გადაფასების შედეგად 0 ლარის ზარალი.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2023 წლის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 30 სექტემბერს. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ანარიშების გაშვებამდე გარდა ქვემოთ მოცემული საკითხებისა, მნიშვნელოვანი მოვლენები არ დაფიქსირებულა.

- საწარმოს წარმომადგენლობაზე პასუხისმგებელ პირებს, 2023 წლის 9 მარტიდან, დაემატა გიორგი ჯაფარიძე.

დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

შპს ვერიტას ბრუნმა, 2022 წლის 27 ივლისის მოახდინა შპს ოფისი ბაგებთან, 405474099, რომელიც დაკავშირებული მხარეა, საიჯარო კომერციული პირობების შესახებ 07 ოქტომბერი 2021 წლის შეთანხმებით წარმოშობილი იჯარის უფლების შეწყვეტის რეგისტრაცია და შეძენილი ძირითადი საშუალებების, მათ შორის, საკუთარი ხარჯებით ჩატარებული „რემონტი, ნებისმიერ მნიშვნელოვანი/კონსტრუქციული გადაკეთება ან/და კაპიტალური რემონდი და ფართის ისეთ

მდგომარეობაში მოყვანის ხარჯები, რომლებიც აუცილებელი იყო წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფართის გამოყენებისათვის (მუხლი 2.3.4)", მიწოდება მოიჯარისთვის, ანაზღაურებამ მთლიანად შეადგინა 50,000 ლარი, ხოლო 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დარჩენილი 500,937.01 ლარის დავალიანება, როგორც უიმედო აქტივი, ჩამოწერა შესაბამის გაუფასურების დანაკარგის რეზერვის ანგარიშზე, დანაკარგის მოცულობის განსაზღვრის შემდეგ [100%-ით]. შემდგომი აღდგენა დაკრედიტდება გაუფასურების დანაკარგის ანგარიშზე წლის მოგება-ზარალში.

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია კომპანიის დირექტორის მიერ 2024 წლის 30 სექტემბერს.

შპს ვერიტას ბრაუნ

დირექტორი: -----/

ბუღალტერი:----  ---/